

## შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიაში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია (ტექსტში შემდგომ - „უმაღლესი სასწავლებელი“) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი (ტექსტში შემდგომ - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უმაღლესი სასწავლებლის წესდებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. წესის მიზანია უზრუნველყოს უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის დაკომპლექტება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა, აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველისა და უმაღლესი სასწავლებლის ინტერესების გათვალისწინებით, კონკურსის საჯაროობის, ღიაობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრონციპების განუხრელი დაცვით.

3. წესის დანიშნულებაა, მასში გათვალისწინებული პროცედურების მეშვეობით უზრუნველყოს უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებისა და საკონკურსო მონაცემების ობიექტური შეფასება, მათი ერთმანეთთან ურთიერთშეჯერებისა და საერთო ინტერესების მომცველი შრომითსამართლებრივი კავშირის ჩამოყალიბება, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დამყარება უმაღლესი სასწავლებლის კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

### მუხლი 2. აკადემიური პერსონალი და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.

2. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

3. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

4. ასისტენტები - პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებენ სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

5. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.

6. პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და აქვს სხვა მიღწევები დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

7. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, 7 წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

8. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 წლის ვადით.

9. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 წლის ვადით.

10. პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ბრძანებით, რომლითაც ცხადდება კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ასეთ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

11. აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

### **მუხლი 3. კონკურსის გამოცხადება**

1. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს უმაღლესი სასწავლებლის რექტორი.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე, შესაძლებელია გამოქვეყნდეს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებად პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. ზუსტი ვადა და პირობები განისაზღვრება უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ბრძანებით.

3. რექტორის ბრძანებაში სავალდებულო წესით აისახება:

ა) კონკურსის გამოცხადების თარიღი;

ბ) ვაკანტური ადგილების ოდენობა და მიმართულება;

გ) კონკურსანტებისათვის წარდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია;

დ) საკონკურსო განცხადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღები, განცხადებების მიღების ადგილი.

4. პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი ბეჭდვითი ფორმით;
- ბ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);
- გ) საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი დარგის სასწავლო კურსის სილაბუსი /სილაბუსები/ (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);
- დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ე) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვ) ინფორმაცია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, სტატიების, მონოგრაფიების ან სახელმძღვანელოების შესახებ;
- ზ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, ხოლო პროფესიული ნიშნით კონკურსის შემთხვევაში - პროფესიული გამოცდილების ან სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თ) 2 ფოტოსურათი ზომით 3x4.

5. ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) შევსებული საკონკურსო განაცხადი ბეჭდვითი ფორმით;
- ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- გ) ავტობიოგრაფია (CV) (ელექტრონული და ბეჭდვითი ფორმით);
- დ) დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო პროფესიული ნიშნით კონკურსის შემთხვევაში - პროფესიული გამოცდილების ან სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ე) სამოტივაციო წერილი;
- ვ) 2 ფოტოსურათი ზომით 3x4.

6. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა კანდიდატმა სასურველია წარმოადგინოს სხვა დოკუმენტაცია (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა; მონაწილეობები სამეცნიერო კონფერენციებში, ექსპერიმენტებსა და ექსპედიციებში; ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობები ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამდღეული კვალიფიკაციები, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, სამეცნიერო უნივერსიტეტების საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა, სექციის ხელმძღვანელობა და სხვა; მიმართულების განვითარების კონცეფცია).

#### **მუხლი 4. საკონკურსო კომისია**

1. უმაღლეს სასწავლებელში კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია (ტესტში შემდგომ - „კომისია“), რომელიც იქმნება რექტორის სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე (რომელიც ცვლის თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში) და წევრები. კომისიის წევრთა რაოდენობას და მათ შორის მოვალეობებს განსაზღვრავს რექტორი. კომისიის შემადგენლობაში დასაშვებია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან სპეციალისტების მოწვევა.

2. ორგანიზებულად ჩატარების მიზნით რექტორი ნიშნავს მდივანს, რომელსაც ევალება მოსამზადებელი საკითხების მოგვარება, მათ შორის კანდიდატთა განცხადებების მიღება-აღრიცხვა, საბუთების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და დოკუმენტების კომისიისთვის წარდგენა.

3. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.

4. კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ.

5. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ვადით და წყდება კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე.

### **მუხლი 5. კონკურსის მონაწილეთა შეფასება და შედეგები**

1. კომისია პირველ სხდომაზე, რომელიც ტარდება კონკურსის ჩატარებამდე, განიხილავს კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილ სარეგისტრაციო დოკუმენტაციას და განისაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთა მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სრულყოფილია და შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2. იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არასრულყოფილია და არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრი უფლებამოსილია თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმზე კეთდება სათანადო აღნიშვნა.

4. კონკურსის ჩატარების დღეს კომისია განიხილავს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ ვაკანსიებზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში ისმენს კანდიდატთა მოსაზრებებს და ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან, კომისიის ყოველ წევრს უფლება აქვს კონკრეტულ საკონკურსო თანამდებობაზე ხმა მისცეს არაუმეტეს იმდენ კონკურსანტს, რამდენი საკონკურსო ადგილიცაა მოცემულ თანამდებობაზე. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

5. კონკურსში გამარჯვებულად (აკადემიურ თანამდებობაზე არჩეულად) ჩაითვლება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტს.

6. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ პრეტენდენტებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე და კომისიის თითოეული წევრი ხმას აძლევს თითოეულ პრეტენდენტს. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან ორზე მეტმა პრეტენდენტმა დააგროვა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის

ხმები, გამარჯვებულად ჩაითვლება პრეტენდენტი, რომელმაც მიიღო დადებითი ხმების მეტი ოდენობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, რომელშიც კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ პრეტენდენტს. ამ შემთხვევაშიც ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

8. შედეგები გამოქვეყნდება საკონკურსო კომისიის სხდომის დასრულებისთანავე.

9. გამარჯვებულ კანდიდატს – კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე ნიშნავს უმაღლესი სასწავლებლის რექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. კომისიის გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გასაჩივრებადია აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე გამწესების შესახებ რექტორის ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 6. ჩაშლილი კონკურსი და განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი**

1. კონკურსი ითვლება საერთოდ ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განაცხადი ან თუ საკონკურსო კომისია უარს განაცხადებს კანდიდატების წამოყენებაზე.

2. ჩაშლილად ითვლება კონკურსი კონკრეტულად იმ აკადემიურ ვაკანსიაზე, რომელზედაც არ იქნა მიღებული არც ერთი განაცხადი ან კომისიამ უარი განაცხადა ამ ვაკანსიაზე კანდიდატის წამოყენებაზე.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაინიშნოს განმეორებითი (ხელახალი) კონკურსი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. კონკურსანტსა და პრეტენდენტს, წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უბრუნდებათ წარმოდგენილი დოკუმენტები (ასევე სხვა მასალები), მათი ქსეროასლები კი რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.